

შიდა აუდიტის ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები კომერციულ ბანკებში

ნათია ხოჭოლავა,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი არის იმ ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა ქცევის წესს საქმიანობის განხორციელების პროცესში. მისი მიზანია შიდა აუდიტის საქმიანობაში მაღალი ეთიკური კულტურის დამკვიდრება, შიდა აუდიტორთა პროფესიული ვალდებულებების სრულყოფილად და ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობა.

შიდა აუდიტორთა საერთაშორისო ინსტიტუტმა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის საფუძველზე მიიღო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შიდა აუდიტორებმა უნდა დაიცვან შემდეგი პრინციპები: ა) პატიოსნება, ბ) ობიექტურობა, გ) კონფიდენციალურობა, დ) კომპეტენტურობა.

ეს ის ძირითადი პრინციპებია, რისი დაცვაც აუცილებელია კომერციული ორგანიზაციებისათვის. თუმცა, რასაკვირველია არსებობს აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა შესაბამისობის ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნები, რომელთა გათვალისწინებაც სავალდებულოა კომერციული ბანკებისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით მოითხოვება: ა) დამოუკიდებლობა; ბ) კომპეტენტურობა; გ) მიუკერძოებლობა; დ) შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადეკვატურობა; ე) რესურსებით უზრუნველყოფა.

ამავდროულად, შიდა აუდიტის ფუნქციონირების პრინციპები საერთაშორისო მასშტაბით სხვადასხვა ავტორების რიგ ნაშრომებშიც განიხილება. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ მოვალეობათა განაწილების და უწყვეტობის პრინციპები, ინფორმაციის საკმარისობა, წონასწორობა, მაკონტროლებელი და კონტროლირებადი სისტემები, შესაბამისობა და ა.შ.

მივიჩნევთ, რომ ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის კოდექსის პრინციპებისა და შიდა აუდიტის ფუნქციონირების საერთაშორისო პრაქტიკის შერწყმის შედეგად საერთო ჯამში ბანკის მიიღებს საკუთარი ერთეულისათვის შესაბამისი ეთიკის კოდექსი.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი, ეთიკის კოდექსი, ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები, პატიოსნება, ობიექტურობა, კონფიდენციალურობა, კომპეტენტურობა, რესურსებით უზრუნველყოფა.

The basic principles of Internal Audit Code of Ethics in Commercial banks

Khocholava Natia,
doctoral student of GTU

Summary

Internal Auditors Code of Ethics is a set of basic principles that conducts the behavior of employees of the Internal Audit unit during their activities. It is designed to work with high ethical culture and professional obligations for internal auditors.

Institute of Internal Auditors on the basis of International Code of Ethics created the document, according to which internal auditors must comply with the following principles: Integrity, Objectivity, Confidentiality, Competency.

Those are the basic principles, which are essential for commercial organizations. However, of course there are the local legal requirements that should be considered mandatory for commercial banks regarding Internal Audit Service. According to President Decree of National Bank of Georgia following are considered: a) Independency; B) Competency; C) Impartiality; D) Adequacy of Internal audit program and scale; E) Provision of Resources.

At the same time, the principles of the functioning of the internal audit are considered in the works of various authors internationally. They can be distinguished as the distribution of responsibilities and continuity of the principles, information sufficiency, balance, control and compliance of controlled systems, etc.

We believe that local regulations, principles of internationally recognized code of ethics and international practice of the functioning of the internal audit unit will merger overall bank's code of ethics for their respective units.

Keywords: Institute of Internal Auditors, Code of Ethics, Main principles of Code of Ethics, Integrity, Objectivity, Confidentiality, Competency, Provision of Resources.

შესავალი

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ კორპორაციული მართვა არის გარანტი იმისა, რომ კომპანიები ეფექტურად იმართება აქციონერთა ინტერესების დასაცავად. ეფექტური კორპორაციული მართვის პროცესს კი ხელს უწყობს ორი ძირითადი ფაქტორი: მმართველობითი საბჭოს შესატყვისი სტრუქტურირება და მეორე, ხელმძღვანელობის საქმიანობის შემოწმები-

სასვლელის შესაბამისი მექანიზმების არსებობა.

გარე აუდიტორების ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოაყალიბოს მოსაზრება, ასახევს თუ არა სავალდებულო ფინანსური ანგარიშგება უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს და მას არ შეუძლია და, ცხადია არც უნდა მონაწილეობდეს კომპანიის საქმიანობაში.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ფუნქცია მაღალი დონის საზედამხებდებლო მიზნებს ასორციელებს, ასე, რომ ისინიც ვერ იქნებიან სრულად ჩართული მართვის ყოველდღიურ პროცესში.

სამწუხაროდ, თუ არავინ განიხილავს რამდენად კარგად იმართება კომპანია ფაქტობრივად, არც ერთ ჩამოთვლილ მექანიზმს არ ექნება არავითარი ეფექტი.

ამიტომ საჭიროა კომპანიაში არსებობდეს დამოუკიდებელი განყოფილება, რომელიც შეამოწმებს, რომ სისტემები ეფექტურად მუშაობს და არსებობს პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს ეფექტიანი კორპორაციული მართვა რეალობად იქცეს. მასაშადამე წარმოიშობა შიდა აუდიტის საჭიროება.

ძირითადი ტექსტი

შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო ორგანიზაციის შიდა აუდიტორების ინსტიტუტის მიერ. ეს ძირითადი პრინციპებია: პატიოსნება, ობიექტურობა, კონფიდენციალურობა და კომპეტენტურობა.

შიდა აუდიტის პრინციპები აღწერილია შიდა აუდიტორების ეთიკის კოდექსში, რომელიც 2000 წლის 17 ივნისს შიდა აუდიტორების ინსტიტუტის დირექტორთა საბჭომ მიიღო. მოცემული დოკუმენტი ეთიკის საერთაშორისო კოდექსის საფუძველზეა შემუშავებული და მასში შემდეგი ძირითადი პრინციპებია განხილული: ა) პატიოსნება, ბ) ობიექტურობა, გ) კონფიდენციალურობა დ) კომპეტენტურობა.

კომერციულ ბანკში შიდა აუდიტის პრინციპების შემუშავებისას შესაძლებელია უცხოელი კოლეგების გამოცდილებაზე დაყრდნობაც, შიდა აუდიტის ფუნქციონირების საფუძვლები სხვადასხვა ავტორების ნაშრომებში განიხილება. მაგალითისთვის, ვ. ვ. ბურცევი შემდეგ პრინციპებს გამოყოფს: პასუხისმგებლობა, ნონასწორობა, გადახრების შესახებ დროული შეტყობინება, ინტეგრაცია, მაკონტროლებელი და კონტროლირებადი სისტემების შესაბამისობა, მუდმივობა, კომპლექსურობა, მოვალეობათა განაწილება და ნებართვა. ა. ა. არსლანბეკოვ-ფიოდოროვი განიხილავს ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა: მოვალეობათა განაწილება, უწყვეტობა, ობიექტურობა, საგნობრიობა და კონკრეტულობა, ყოველისმომცველობა და ინფორმაციის საკმარისობა.

ადგილობრივი კანონდებლობით თუ ვიხელმძღვანელებთ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N25/04 10 მარტი, 2015 წ.

„კომერციულ ბანკებში შიდააუდიტორული მომსახურების მოთხოვნის შესახებ“ განისაზღვრება: „სამსახურის ძირითადი ამოცანა და მიზანია ბანკის შიდა კონტროლის, რისკების მართვის, მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხისა და ეფექტიანობის დამოუკიდებელი შეფასების განხორციელება. სამსახურის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის პრინციპებსა და შიდა აუდიტორების ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს.“ სამსახურის ფუნქციონირება და მისი საქმიანობა დაფუძნებული უნდა იყოს შემდეგზე: ა) დამოუკიდებლობა, ბ) კომპეტენტურობა, გ) მიუკერძოებლობა, დ) შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადეკვატურობა, ე) რესურსებით უზრუნველყოფა.

ეთიკის კოდექსით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და ასევე, რიგი ავტორების მიერ შემოთავაზებული შიდა აუდიტის პრინციპების გაანალიზების შემდეგ ბანკის შიდა აუდიტი შემდეგი ძირითადი პრინციპებით შეიძლება დავახასიათოთ: ა) პატიოსნება, ბ) გეგმიურობა, გ) მსჯელობებისა და დასკვნების დამოუკიდებლობა, დ) ობიექტურობა, ე) კონფიდენციალურობა, ვ) კომპეტენტურობა და მაღალი პროფესიონალიზმი, ზ) გარე აუდიტთან ურთიერთობა, თ) რესურსებით უზრუნველყოფა, ი) კომპიუტერიზაცია.

პატიოსნება წარმოადგენს საფუძველს, რომელსაც აუდიტორის აზრისადმი ნდობა ემყარება. შიდა აუდიტორები სამუშაოს შესრულებისას უნდა გამოიჩინონ პატიოსნება, კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობა და იმოქმედონ კანონის ფარგლებში. შიდა აუდიტორები შეგნებულად არ უნდა მონაწილეობდნენ ქმედებებში, რომლებიც შიდა აუდიტორის ან ორგანიზაციის სახელის დისკრედიტირებას ახდენს.

გეგმიურობა და კომპლექსურობა სამუშაოთა თემატურ გეგმებს ეფუძნება, რომლებიც აუდიტის ვადებს, აუდიტის ობიექტებს, შემოწმების მეთოდებს, რისკის აღბათობას (ხარისხს) ითვალისწინებს.

აუდიტორული შემოწმებების დაგეგმვა ბუღალტრული ანგარიშგების დროული და ხარისხიანი აუდიტის ჩატარების, საბანკო-საფინანსო ოპერაციების კანონიერების, უტყუარობის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში მათი სწორად ასახვის საშუალებას იძლევა.

შიდა აუდიტის ორგანიზებისა და წარმოებისთვის სპეციალური მეთოდური მითითებები ან ინსტრუქციები შემუშავდება, რომლებიც სამუშაოების შესამოწმებელ მონაკვეთებზე კონტროლის გატარების პროცესს განსაზღვრავენ.

დამოუკიდებლობა შიდა აუდიტორებს აუდიტის მიუკერძოებლად ჩატარებასა და მსჯელობის ობიექტურად გამოხატვაში ეხმარება. შიდა აუდიტორი, მსჯელობისას, როგორც კოლეგებისგან, ასევე, მმართველი პერსონალისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს. შიდა აუდიტორები დამოუკიდებელნი არიან,

როდესაც მათ თავისუფლად და უბიექტურად შეუძლიათ სამუშაოს შესრულება. შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობა შიდა აუდიტის განყოფილების ორგანიზაციული სტატუსით, შიდა აუდიტორის უფლებებითა და მოვალეობებით, მათ შორის, მაღალი რანგის ხელმძღვანელობასთან წვდომადობით განისაზღვრება.

ობიექტურობის პრინციპი უშუალოდ დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს. ობიექტურობა მოითხოვს, რომ შიდა აუდიტორებმა სამუშაო დამოუკიდებლად და პატიოსნად შეასრულონ. მოცემული პრინციპი ბანკის საქმიანობის, საბანკო-საფინანსო საქმიანობის შედეგების ობიექტურ, დაწვრილებით და ყურადღებით შესწავლას, ფინანსური ანალიზის ჩატარებისას უტყუარი მონაცემებისა და ეფექტური ანალიტიკური მეთოდების გამოყენებას, შემოწმების შედეგების მიხედვით აუდიტორული ანგარიშის შედგენას ეფუძნება. ამასთან, აუდიტორული ანგარიშები შესამოწმებელი მონაკვეთის მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას უნდა შეიცავდნენ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებული არგუმენტირებული დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

კონფიდენციალურობას საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ ბანკის კლიენტებისა და კორესპონდენტების ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაბრების, საბანკო და კომერციული საიდუმლოების დაცვა და ასევე, აუდიტორული შემოწმებისას გამოქვამებული ინფორმაციის არასანქცირებული გასაჯაროების პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს.

კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი. შიდა აუდიტორები შიდა აუდიტის სფეროში მომსახურების გაწევისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას იყენებენ. კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი აუდიტორების უმაღლესი საბანკო-საფინანსო განათლებით, შიდა და გარე აუდიტორებად მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით, ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურის, საბანკო საქმიანობის ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის, აუდიტორულ შემოწმებებში რეგულარული მონაწილეობის მეშვეობით კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებით განისაზღვრება.

გარე აუდიტთან ურთიერთობა ბანკის გარე აუდიტის ჩატარების საკითხებთან დაკავშირებული სამუშაოების კოორდინაციას, ასევე, შიდა აუდიტის შედეგობრიობის შეფასებას და შიდა კონტროლს გულისხმობს. შიდა აუდიტის შედეგების გამოყენების წყალობით გარე აუდიტორის სამუშაოს მოცულობა - დოკუმენტაციის შემოწმება, აღრიცხვისა და კონტროლის სისტემების მუშაობის შეფასება - მცირდება.

რესურსებით უზრუნველყოფა გულისხმობს ზოგადად სამსახურის და მისი თანამშრომლებისათვის ისეთი ბიუჯეტის შექმნას და მოტივაციების სისტემის არსებობას, რომელიც იძლევა პროფესიონალური კადრების აყვანისა და შენარჩუნების შესაძლებლობას.

კომპიუტერიზაცია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით შიდა აუდიტის ჩატარების პროცედურების ავტომატიზაციას გულისხმობს:

კომპიუტერული ტექნიკის საშუალებებსა და საკრედიტო, ფინანსური ინფორმაციის მოკრების, დამუშავებისა და შენახვის ავტომატიზირებულ სისტემებთან დაკავშირებული ბოროტად გამოყენებისა და დატაცების მეთოდების შესწავლა და აღნიშნული მეთოდების გამოვლენა;

ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან არასანქცირებული წვდომისა და ელექტრონულ მონაცემთა ბაზების დაკარგვის ან ფალსიფიკაციის შესაძლებლობების თავიდან არიდება;

- საბანკო-საფინანსო საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებული შიდა კონტროლის ორგანიზაციის მდგომარეობის კომპიუტერული შემოწმებების განხორციელება.

დასკვნა

ამგვარად, განხილული პრინციპები შიდა აუდიტის მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საკვანძო პირობებს წარმოადგენენ. მოცემული პრინციპების გამოყენება შესაძლებელია ბანკის მიერ არჩეული შიდა აუდიტის საორგანიზაციო ფორმისგან დამოუკიდებლად, რადგან ამგვარ პრინციპებს საყოველთაო და ყოვლისმომცველი ხასიათი გააჩნია. გარდა ამისა, შემოწმებების პრაქტიკა ხშირად გვიჩვენებს, რომ ბანკები შიდა საბანკო დებულებებსა და ინსტრუქციებს არ შეიმუშავებენ, რაც, თავის მხრივ, შიდა აუდიტორთა სამუშაოს ართულებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება. კაპლან ფაინენშიან ლიმიტედი 2009წ.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N25/04 „კომერციულ ბანკებში შიდააუდიტორული მომსახურების მოთხოვნის შესახებ“, 2015 წლის 10 მარტი.
3. ვ.ვ. ბურცევი, შიდა აუდიტი: თეორია და პრაქტიკა, თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვა, 2006წ
4. ა.ა. არსლანბეკოვ-ფიოდოროვი, კომერციულ ბანკის შიდა კონტროლის სისტემა, 2004 წ.